საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3090/01
29/03/2022

3090-01-2-202203291748

შპს „რივერსტოუნს“

მის: დაბა ჩხოროწყუ, გობეჩიას ქუჩა №7

ელ. ფოსტა: ntact@riversstone.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №4964 განცხადება, რომელიც ეხება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, დაბა ჩხოროწყუში, გობეჩიას ქ. №7-ში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსების ადგილიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 100 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად, დგინდება, რომ საპროექტო საწარმოს უშუალოდ ემიჯნება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 46.02.45.324), რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობები. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულება და მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, №1 ცხრილში მითითებულია, რომ საწარმოში დაგეგმილია წელიწადში 187 200 ინერტული მასალის (90 ტ/სთ) გადამუშავება და 74 880 ტ/წელ ქვიშისა და 112 320 ტ/წელ ღორღის მიღება. ამასთან, ამავე ცხრილში აღნიშნულია, რომ საწარმოში მოხმარებული ნედლეულის რაოდენობა იქნება წელიწადში 192 000 ტონა. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო რეჟიმისა (წელიწადში 260 დღე, დღე-ღამეში 8 საათი) და საათობრივად გადასამუშავებელი ნედლეულის გათვალისწინებით (90 ტ/სთ), დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს საპროექტო წარმადობა;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული წყალაღების წერტილის (არტეზიული ჭა) GPS კოორდინატები (X - 529873.0, Y=4654536.0) საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები შეიკრიბება ტერიტორიაზე მოსაწყობ

ბეტონის ორმოში, თუმცა, მოცემული არ არის ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;

- სკრინინგის განცხადებაში განხილული არ არის ობიექტზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სამსაფეხურიანი სალექარი, თუმცა, დაზუსტებული არ არის მისი პარამეტრები (სიგრძე, სიგანე, სიღრმე);
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის სალექარში დაგროვილი შლამის სავარაუდო რაოდენობა და შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე